



საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ქალაქი ფოთი

№ 04/277

04 / მარტი / 2019 წ.



KA000006632744519

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიისა და სატენდერო კომისიის აპარატის შექმნის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს“ 48-ე მუხლის პირველი პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1¹ და მე-6 პუნქტებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. შეიქმნას ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. მამუკა პაპასკირი - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე);
2. ვასილ თოდუა - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. ნანა ჭანტურია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (კომისიის წევრი);
4. კახაბერ მაშავა - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი (კომისიის წევრი);
5. ნიკოლოზ გრიგოლია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (კომისიის წევრი);
6. მაია მაკალათია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი, საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (კომისიის წევრი);

მუხლი 2. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, თავმჯდომარის მოვალეობა დაეკისროს, კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს ვასილ თოდუას.

მუხლი 3. შეიქმნას ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის აპარატი შემდეგი შემადგენლობით:

1. მაია სულავა - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი, საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის წევრი);
2. მაია სიხარულიძე - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის შესყიდვების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (აპარატის წევრი).


3. ინგა გიგიბერია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის წევრი);

მუხლი 4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 10 ოქტომბრის N 04/94 ბრძანება „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიისა და სატენდერო კომისიის აპარატის შექმნის შესახებ“.

მუხლი 5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 3).

მუხლი 6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელემენტრულად 

გონა კურდღელია